# შპს Delfos Group

## ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*

შპს Delfos Group

## სარჩევი

გვერდი


ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის :

| | |
|---|---|
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება - | 7 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - | 6 |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება - | 6 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება - | 10 |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - | 11 |

შპს DELFOS GROUP

საქმიანობის შედეგები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს DELFOS GROUP

საქმიანობის შედეგები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნა | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი | 3 | 2,506,618 | 1,939,969 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | (1,132,677) | (805,189) |
| | | 45% | 42% |
| **საერთო მოგება** | | **1,373,941** | **1,134,780** |
| სხვა შემოსავალი/ხარჯი | 4 | 5,321 | 6,924 |
| მიწოდების ხარჯი | 5 | (1,054,060) | (814,078) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 6 | (224,880) | (231,794) |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან | 7 | 95,378 | 42,355 |
| საპროცენტო ხარჯი | 8 | (10,409) | (32,445) |
| საპროცენტო შემოსავალი | - | - | - |
| **მოგება მოგების გადასახადამდე** | | **185,292** | **105,742** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **პერიოდის მოგება** | | **185,292** | **105,742** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **სულ სრული შემოსავალი** | | **185,292** | **105,742** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:
**ნიკოლოზ კირვალიძე**
**დირექტორი**




7-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## საქმიანობის შედეგები
## 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს DELFOS GROUP

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
### 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნა | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 134,041 | 157,866 | 177,505 |
| არამატერიალური აქტივები | - | 236 | 439 | 642 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | | 134,277 | 158,305 | 178,148 |
| მარაგები | 10 | 861,596 | 700,497 | 932,405 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 11 | 146,582 | 128,010 | 148,477 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 12 | 572,722 | 394,061 | 196,769 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | | 1,580,899 | 1,222,588 | 1,277,632 |
| **სულ აქტივები** | | **1,715,176** | **1,380,893** | **1,455,779** |
| საწესდებო კაპიტალი | 13 | (227,633) | (376,514) | (376,539) |
| გაუნაწილებელი მოგება | | (181,802) | 1,012 | 106,754 |
| **სულ კაპიტალი** | | **(409,436)** | **(375,502)** | **(269,785)** |
| მიღებული სესხები | 14 | (288,107) | (343,988) | (342,851) |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | | (288,107) | (343,988) | (342,851) |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | - | - | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 15 | (882,084) | (437,797) | (459,447) |
| მოკლევადიანი სესხები | 14 | (135,550) | (217,598) | (381,890) |
| გადასახდელი პროცენტები | | - | (6,007) | (1,816) |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | | (1,017,634) | (661,402) | (843,154) |
| **სულ ვალდებულებები** | | **(1,305,741)** | **(1,005,391)** | **(1,186,005)** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **(1,715,177)** | **(1,380,893)** | **(1,455,779)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:



7-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

7-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქმიანობის შედეგები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს DELFOS GROUP

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2020** | 376,539 | (106,754) | 269,785 |
| სულ წლის სრული შემოსავალი | (25) | 105,742 | 105,717 |
| დივიდენდის გაცემა | - | - | - |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2021** | 376,514 | (1,012) | 375,502 |
| სულ წლის სრული შემოსავალი | (148,881) | 185,292 | 36,411 |
| დივიდენდის გაცემა | - | (2,477) | (2,477) |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2022** | 227,633 | 181,802 | 409,436 |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:

**ნიკოლოზ კორგალიძე**
**დირექტორი**




7-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

4

## საქმიანობის შედეგები
## 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს DELFOS GROUP

### ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
### 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული | 3,101,130 | 2,310,184 |
| ოპერაციებში გადახდილი ნაღდი ფული | (2,906,291) | (1,972,216) |
| საოპერაციო საქმიანობით მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული | 194,839 | 337,968 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| გადახდები ძირითად საშუალებებზე | (29,309) | (19,856) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული | (29,309) | (19,856) |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| მიღებული სესხები | 135550 | 0 |
| სესხის გასტუმრება | (217,797) | (163,179) |
| კაპიტალის შევსება | (148,881) | 25 |
| ფინანსური საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ნაღდი ფული | (82,247) | (163,154) |
| **წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში** | 83,283 | 154,957 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | **394,061** | **196,749** |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე | 95,378 | 42,355 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 572,722 | 394,061 |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:

**ნიკოლოზ კარგალაძე**
**დირექტორი**




7-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

5

## საქმიანობის შედეგები
## 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნა | 2022 | | 2021 |
|---|---|---|---|---|
| შემოსავალი | 3 | 2,506,618 | - | 1,939,969 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | (1,132,677) | | (805,189) |
| | | 45% | | 42% |
| **საერთო მოგება** | | **1,373,941** | | **1,134,780** |
| სხვა შემოსავალი/ხარჯი | 4 | 5,321 | - | 6,924 |
| მიწოდების ხარჯი | 5 | (1,054,060) | - | (814,078) |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 6 | (224,880) | - | (231,794) |
| მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან | 7 | 95,378 | - | 42,355 |
| საპროცენტო ხარჯი | 8 | (10,409) | - | (32,445) |
| საპროცენტო შემოსავალი | - | - | - | - |
| **მოგება მოგების გადასახადამდე** | | **185,292** | | **105,742** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | | - |
| **პერიოდის მოგება** | | **185,292** | | **105,742** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | | - |
| **სულ სრული შემოსავალი** | | **185,292** | | **105,742** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:
**ნიკოლოზ კირვალიძე**
**დირექტორი**

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნა | 2022 | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| *გრძელვადიანი აქტივები* | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 134,041 | 157,866 | 177,505 |
| არამატერიალური აქტივები | - | 236 | 439 | 642 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | | 134,277 | 158,305 | 178,148 |
| *მოკლევადიანი აქტივები* | | | | - |
| მარაგები | 10 | 861,596 | 700,497 | 932,405 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 11 | 146,582 | 128,030 | 148,477 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 12 | 572,722 | 394,061 | 196,749 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | | 1,580,899 | 1,222,588 | 1,277,632 |
| **სულ აქტივები** | | **1,715,176** | **1,380,893** | **1,455,779** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| *კაპიტალი და რეზერვები* | | - | - | - |
| საწესდებო კაპიტალი | 13 | (227,633) | (376,514) | (376,539) |
| გაუნაწილებელი მოგება | | (181,802) | 1,012 | 106,754 |
| **სულ კაპიტალი** | | **(409,436)** | **(375,502)** | **(269,785)** |
| *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | - | - | |
| მიღებული სესხები | 14 | (288,107) | (343,988) | (342,851) |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | | (288,107) | (343,988) | (342,851) |
| *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | - | - | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 15 | (882,084) | (437,797) | (459,447) |
| მოკლევადიანი სესხები | 14 | (135,550) | (217,598) | (381,890) |
| გადასახდელი პროცენტები | | - | (6,007) | (1,816) |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | | (1,017,634) | (661,402) | (843,154) |
| **სულ ვადებულებები** | | **(1,305,741)** | **(1,005,391)** | **(1,186,005)** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **(1,715,177)** | **(1,380,893)** | **(1,455,779)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:

## კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
## **2022** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2020** | **376,539** | **(106,754)** | **269,785** |
| სულ წლის სრული შემოსავალი | (25) | 105,742 | 105,717 |
| დივიდენდის გაცემა | **-** | **-** | **-** |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2021** | **376,514** | **(1,012)** | **375,502** |
| სულ წლის სრული შემოსავალი | (148,881) | 185,292 | 36,411 |
| დივიდენდის გაცემა | - | (2,477) | **(2,477)** |
| **ნაშთი 31 დეკემბერი 2022** | **227,633** | **181,802** | **409,436** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:

ნიკოლოზ კირვალიძე
დირექტორი

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
ათას ლარში

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული | 3,101,130 | 2,310,184 |
| ოპერაციებში გადახდილი ნაღდი ფული | (2,906,291) | (1,972,216) |
| საოპერაციო საქმიანობით მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ნაღდი ფული | 194,839 | 337,968 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| გადახდები ძირითად საშუალებებზე | (29,309) | (19,856) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული | (29,309) | (19,856) |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| მიღებული სესხები | 135550 | 0 |
| სესხის გასტუმრება | (217,797) | (163,179) |
| კაპიტალის შევსება | (148,881) | 25 |
| ფინანსური საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ნაღდი ფული | (82,247) | (163,154) |
| **წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში** | 83,283 | 154,957 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | **394,061** | **196,749** |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე | 95,378 | 42,355 |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **572,722** | **394,061** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 1 სექტემბერს:

**ნიკოლოზ კირვალიძე**
**დირექტორი**

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “Delfos Group” დაფუძნდა 2013 წლის 1 მარტს. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, წიკლაურის ქ., №9

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა ძვირფასეულობითა და სხვა აქსესუარებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიის სავაჭრო ობიექტები (ფილიალები) წარმოდგენილია ნაქირავები ფართების სახით სავაჭრო ცენტრებსა და სხვა კომერციულ ფართებში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა 6-6 ფილიალს (შესაბამისად), აქედან 5 ფილიალი მდებარეობს ქ.თბილისში, ხოლო 1 ფილიალი - ქ.ბათუმში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ანი ბენეფიციარი მესაკუთრე იყო ნიკოლოზ კირვალიძე (პირადი ნომერი 01020005966).

2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 29 და 21 ადამიანი, შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2022 წლის 1 სექტემბერს.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

### შესაბამისობის ანგარიში

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ,,მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” ( მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვისთვის იყენებს ფასს-ს მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტებს ( მსს ფასს) (IFRS for SMEs) , მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფულადი სახსრების მოძრაობის, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში და ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებულ შენიშვნებში წარმოდგენილია წინა პერიოდის შედარებითი მაჩვენებლები. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, თუ მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც მსს ფასს იძულებული არ არის ასე რომ მოიქცეს.

### შეფასება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში.

აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა

შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

**ფუნქციონალური ვალუტა**

კომპანიის წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

**უცხოური ვალუტა**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.7020 | 3.2766 | 3.2766 |
| ლარი/1 ევრო | 2.8844 | 4.0233 | 4.0233 |
| ლარი/ 1 თურქული ლირა | 0.1443 | 0.4462 | 0.4462 |

**მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების ღირებულება დგინდება FIFO („პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი) მეთოდით.

**ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია, როგორც პირვენდელ ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ჯგუფში.

კომპანიას არ გააჩნია საკუთრებაში არსებული მიწა ან შენობა-ნაგებობა. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია მხოლოდ უძრავი ქონებით, ავეჯითა და კომპიუტერული მოწყობილობების სახით.

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ ქვემოთ მითითებული საექსპლუატაციო ვადების შესაბამისად.

| | |
|---|---|
| საოფისე ტექნიკა | 3-5-6 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 4-5 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 7 წელი |

**შემოსავლის აღიარება**

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება. საწარმო შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

**საოპერაციო იჯარა**

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

**დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაობების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებთ.

**გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. საგადასახადო ორგანოებმა კომპანია შეამოწმეს 2016 წლამდე.

**მოგების გადასახადები** - 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის" ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები".

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი** - გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რელური ღირებულებით, რომელიც როგორც წერი წარმოადგებს ოპერაციის (გარიგების) ფასს (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

**ფინანსური აქტივები (ა)**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

**ფული და ფულის ექვივალენტები** - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

**გაცემული სესხები** - სესხი არაწარმოებული ფინანსური აქტივია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**მოთხოვნები** - წარმოდგენილია მხოლოდ კრედიტორებზე გაცემული ავანსების ან საგარანტიო მოთხოვნების თანხით, რომლებსაც ძირითადად ითხოვენ მოიჯარეები და საქონლის მომწოდებლები - უცხოელი კრედიტორები.

**აღიარების შეწყვეტა** - კომპანიის ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია

აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური ვალდებულებები (ზ)**

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთირთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

**სესხები** - საბანკო სესხი თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი მიღებული სესხი, სარგებლობს მხოლოდ საკრედიტო ხაზით, შესაბამისად საპროცენტო ხარჯის გამოთვლისას არ გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

**სავაჭრო ვალდებულებები** - წარმოადგენს ვალდებულებას, რომლების წარმოიქმნება

**შეწყვეტა** - კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინებაზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო უკუგების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ამგვარი გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდებში არ აღდგება.

**ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი**

არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

**რეალური ღირებულების განსაზღვრა**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასები მესამე დონის შეფასების კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

## 3. შემოსავალი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემოსავალი მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| შემოსავალი გაყიდვებიდან | 2,506,618 | 1,939,969 |
| შემოსავალი მომსახურებიდან | - | - |
| შემოსავალი იჯარიდან | - | - |
| სხვა შემოსავალი | - | - |
| **სულ შემოსავალი** | **2,506,618** | **1,939,969** |

## 4. სხვა შემოსავალი/ხარჯი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სხვა შემოსავალი/ხარჯი მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი | - | - |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 5,320 | 18,864 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 1 | (11,940) |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი | - | - |
| სხვა ხარჯი | - | - |
| **სულ სხვა შემოსავალი/ხარჯი** | **5,321** | **6,924** |

## 5. მიწოდების ხარჯები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მიწოდების ხარჯები მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასის ხარჯი | 223,605 | 146,321 |
| საიჯარო ქირის ხარჯი | 597,380 | 524,303 |
| რეკლამის ხარჯები | 102,823 | 44,663 |
| ტრანსპორტირების ხარჯი | 10,642 | 5,546 |
| მივლინების ხარჯები | 22,934 | 4,186 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 22,285 | 25,527 |
| კომუნალური ხარჯი | 10,947 | 10,005 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 2,884 | 2,710 |
| საბანკო ხარჯი | 50,378 | 40,890 |
| დაცვის ხარჯი | 763 | 1,001 |
| დაზღვევის ხარჯი | 7,877 | 4,838 |
| რემონტის ხარჯი | 1,544 | 4,089 |
| სხვა მიწოდების ხარჯი | - | - |
| **სულ მიწოდების ხარჯი** | **1,054,060** | **814,078** |

## 6. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ხელფასის ხარჯი | 154,900 | 175,170 |
| დაზღვევის ხარჯი | 21,715 | - |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 9,754 | 11,143 |
| საიჯარო ქირის ხარჯი | 29,686 | 33,227 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 1,236 | 1,161 |
| კომუნალური ხარჯი | 1,752 | 1,923 |
| დაცვის ხარჯი | (0) | - |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 5,838 | 9,170 |
| **სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი** | **224,880** | **231,794** |

## 7. წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხაობიდან მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მოგება არარეალიზებული კურსთაშორისი სხვაობიდან | 238,149 | 102,861 |
| ზარალი არარეალიზებული კურსთაშორისი სხვაობიდან | (142,771) | (60,507) |
| | **95,378** | **42,355** |

## 8. წმინდა საპროცენტო ხარჯები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წმინდა საპროცენტო ხარჯები მოიცავს:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | 10 409 | 32 445 |
| საპროცენტო შემოსავალი | (0) | (0) |
| | **10 409** | **32 445** |

## 9. ძირითადი საშუალებები

| | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალება | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | |
| **1 იანვარი 2022** | 34,767 | 40,557 | 65,670 | 149,987 | **290,981** |
| შესყიდვა | 9,880 | 12,602 | 2,356 | | **24,838** |
| ჩამოწერა/რეალიზაცია | | | | | **-** |
| **31 დეკემბერი 2022** | **44,647** | **53,159** | **68,026** | **149,987** | **315,819** |
| | - | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | |
| **1 იანვარი 2022** | 13,626 | 33,637 | 56,891 | 45,789 | **149,943** |
| ცვეთის ხარჯი | 2,143 | 3,656 | 4,489 | 21,546 | **31,834** |
| შემცირება ჩამოწერის შედეგად | | | | | **-** |
| **31 დეკემბერი 2022** | **15,769** | **37,293** | **61,380** | **67,335** | **181,777** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | | | | | |
| **1 იანვარი 2022** | **21,141** | **6,920** | **8,779** | **104,198** | **141,038** |
| **31 დეკემბერი 2022** | **28,878** | **15,866** | **6,646** | **82,652** | **134,042** |
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | |
| **1 იანვარი 2021** | 34,767 | 40,557 | 65,670 | 149,987 | **290,981** |
| შესყიდვა | 9,880 | 5,692 | 12,058 | | **27,630** |
| ჩამოწერა/რეალიზაცია | | | 10,802 | | **10,802** |
| **31 დეკემბერი 2021** | **44,647** | **46,249** | **66,926** | **149,987** | **307,809** |
| | - | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | | | | | |
| **1 იანვარი 2021** | | 30,260 | 47,861 | 24,041 | **113,476** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 11,314 | | | | |
| ცვეთის ხარჯი | 2,312 | 3,377 | 9,030 | 21,748 | **36,467** |
| შემცირება ჩამოწერის შედეგად | | | | | - |
| **31 დეკემბერი 2021** | **13,626** | **33,637** | **56,891** | **45,789** | **149,943** |

10. მარაგები

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| მარაგები საწყობში | 814,495 | 655,516 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 0 | 0 |
| სხვა მარაგები | 47,101 | 44,981 |
| მარაგების გაუფასურების რეზერვი | 0 | 0 |
| **სულ მარაგები** | **861,596** | **700,497** |

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 1 132677 და 805 189 ლარი შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | - | 376 |
| გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე | - | - |
| გაცემული ავანსები | 146,582 | 127,654 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | - | - |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **146,582** | **128,030** |

12. ფული და ფულის ექვივალენტები

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 600 | 5,041 |
| ფული ბანკში | 572,122 | 389,019 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები** | **572,722** | **394,061** |

13. კაპიტალი

### საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, სრულად გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 227 633 ლარი და 376 514 ლარი, შესაბამისად.

### დივიდენდები

კომპანიია მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის მიერ დამფუძნებლებზე გაიცა დივიდენდი 2477 ლარის ოდენობით.

## 14. მიღებული სესხები

| საბუღალტრო ანგარიშის ნომერი | ხელშეკრულების ნომერი | ხელშეკრულების გაფორმების თარიღი | ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა | სესხის ვალუტა | პროცენტის განაკვეთი | სესხის ძირი | 2022 წელი | 2021 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3210 | 6611619 | 2/5/2020 | 10/15/2020 | ევრო | 6.6% | **249,847** | | **217,598** |
| 4140 | შპს რედისონი | 11/1/2018 | 11/1/2020 | ლარი | 10.8% | **310,000** | | |
| 3210 | 76.8532 - საკრედიტო ხაზი | 4/26/2022 | 4/25/2023 | ლარი | 10.6% | **135,550** | **135,550** | |
| 4140 | შპს რედისონი | 1/3/2020 | 4/30/2024 | ევრო | 4.5% | **616,697** | **288,107** | **343,988** |
| | | | | | | | **423,657** | **561,587** |

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხები | **135,550** | **217,598** |
| გადასახდელი პროცენტები | **-** | **6,007** |
| გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი | **-** | **-** |
| გრძელვადიანი სესხები | **288,107** | **343,988** |
| | **423,657** | **567,594** |

## 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 733,837 | 381,603 |
| სადაგასახადო ვალდებულებები | 77,259 | 11,073 |
| მიღებული ავანსები | 1,050 | 8,124 |
| ვალდებულება თანამშრომლების მიმართ | 68,729 | 35,963 |
| სხვა ვალდებულებები | 1,208 | 1,032 |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **882,084** | **437,797** |

საქონლის შესყიდვაზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 1-3 თვე.

## 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე, უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგინაშთები და ტრანზაქციები:

| | **31 დეკემბერი 2022** | | **31 დეკემბერი 2021** | | **31 დეკემბერი 2020** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან | სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით | ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან | სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით | ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან | სულ კატეგორია ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით |
| გაცემული სესხები | | | | | | |
| - *სხვა მეკავშირე მხარეები* | - | - | - | - | - | - |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | | | | | | |
| - *სხვა მეკავშირე მხარეები* | - | 146,582 | - | 127,654 | - | 122,724 |
| მიღებული სესხები | | | | | | |
| - *სხვა მეკავშირე მხარეები* | 288,107 | 423,657 | 343,988 | 561,587 | 474,894 | 724,741 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | | | | | |
| - *სხვა მეკავშირე მხარეები* | - | 135,550 | - | 437,797 | - | 459,447 |

**17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა**

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთა დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში. ითვლება, რო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

• საკრედიტო რისკი
• ლიკვიდურობის რისკი
• საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

**საკრედიტო რისკის მართვა**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშ კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე დ ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკი, ვინაიდან მისი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა, საქონლის ღირებულები გადახდა ხდება საქონლის გაყიდვისთანავე. იურიდიულ პირებთან რეალიზაცია ხდება 1 თვის შემდგომ გადახდის პირობით.

**ლიკვიდობის რისკის მართვა**

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინასურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რა უარყოფითა იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრები დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალით, რომლებიც გააჩნია მფლობელს და ასევე ნასესხები სახსრების მეშვეობით, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ საკრედიტო ხაზის სახით და ძირითად შემთხვევებში გამოიყენება ახალი ფილიალების გახსნასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებად.

ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ქვემოთ მოცემულია ლიკვიდობის რისკის ანალიზი:

ა) ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ ვალდებულებებზე არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, როდესაც კომპანიის ვალდებულების დაფარვა მოეთხოვება;
ბ) ფინანსური აქტივების შეფასებული დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ აქტივებზე არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, რომლებიც კომპანიამ უნდა მიიღოს ამ აქტივებზე ვადიანობის საკონტრაქტო პირობების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანიის აზრით, ფულადი ნაკადების შემოდინება სხვა დროს მოხდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთისა და ლიკვიდობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასების მიხედვით. ინფორმაცია ეფუძნება კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ შიდა ანგარიშებით მიღებულ მონაცემებს.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება

შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი)

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიბმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

**სავალუტო რისკი**

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ნაწილობრივ ეხება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. კომპანია ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას.კომპანიას შემოსავლები აქვს ლარებში, ხარჯები გაიწევა ასევე ეროვნულ ვალურაში, გარდა საქონლის შესყიდვისა.

**კაპიტალის მართვა**

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე. 2021 წლის განმავლობაში კომპანია დაფინანსებულია კაპიტალითა და სესხებით.

## 18. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ განუხორციელებია ისეთი მოვლენები, ან არ აღმოჩენილა ისეთ გარემოებაში რომელიც არსებითად შეცვლიდა მის ფინანსურ მდგომარებას ან იქონიებდა გავლენას მის საქმიანობაზე.